თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 17

30 აგვისტო 2019 წ. ქ. თელავი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 27 დეპუტატი:

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - არჩილ თხლაშიძე

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი;

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე დავით გოგოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მწვანეები“ თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ალექსი ძულიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ მუსაევი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე **ბესიკ ქოჩიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე **ვასილ არაბული;**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური
მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე **ბაადური რევაზიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ქიზიყელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე **მიხეილ გრემელაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“
თავმჯდომარის მოადგილე **ზურაბ ნაცარაშვილი;**

საკრებულოს წევრები: **ზაქარია გრიშიკაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ნიკოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ქსოვრელიშვილი;**

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავზერიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ „თელავი“-ს წარმომადგენლები.

**საკრებულოს თავმჯდომარემ** საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს.ნ.ვაყელიშვილი
11.00სთ-დან 11.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

11.20სთ-დან 11.35სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

11.35სთ-დან 11.50სთ-მდე

4. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

11.50სთ-დან 12.00სთ-მდე

5. ქ.თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესხებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.00სთ-დან 12.15სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი

12.15სთ-დან 12.30სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.ხვისტანი

12.30სთ-დან - 12.45სთ-მდე

8. თელავის საკრებულოს წევრის ლევან ოთიურიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი

12.45სთ-დან - 13.00სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

საკრებულოს წევრმა **ი.პარწიკანაშვილმა** მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ განცხადებების გაკეთების უფლება, რაზეც თავმჯდომარისაგან მიიღო თანხმობა.

<u>1.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს.ნ.ვაყელიშვილი

11.00სთ-დან - 11.20სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ბ.რევაზიშვილმა დასვა კითხვა N2 სამუსიკო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
11.20სთ-დან 11.35სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
11.35სთ-დან 11.50სთ-მდე

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით თავმჯდომარემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტისათვის მიუღებელი იყო პროექტში აღნიშნული ფორმით ქონების გადაცემა, შესაბამისად საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ კლუბი თანახმაა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მიიღოს გარკვეული პირობებით. კერძოდ, განახორციელოს ქ.თელავში, ლეონიძის ქ. N18-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულის (ს/კ:53.20.42.680) კაპიტალური შეკეთება.

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბმა მჭიდრო თანამშრომლობა უნდა იქონიოს მუნიციპალიტეტის საფეხბურთო ა.ა.ი.პ. -სთან

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ თელავს გადაეცეს პირობით (ქ.თელავში, ლეონიძის ქ. N18-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე სართულის (ს/კ:53.20.42.680) კაპიტალური შეკეთება).
(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

4.მოისმინეს: უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
11.50სთ-დან 12.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

5.მოისმინეს: ქ.თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესხებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.00სთ-დან 12.15სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ზ.გრიშიკაშვილმა, ზ.რევაზიშვილმა

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

6.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი
12.15სთ-დან 12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ნ.მაისურაძემ,
ზ.რევაზიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს ქონდა შესაძლებლობა საკუთარი ხარჯებით მოეხდინა საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

მე-6 საკითხის განხილვის შემდგომ ლ.მენთეშაშვილი შემოუერთდა სხდომის მსვლელობას.

ვინაიდან საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნ.ხვისტანი არ ესწრებოდა სხდომას, სხდომის თავმჯდომარესთან შეთანხმების საფუძველზე დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 და მე-8 საკითხები წარმოადგინა აპარატის უფროსმა ტ.გალახვარიძემ

7.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.ტ.გალახვარიძე
12.30სთ-დან - 12.45სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა ).

8.მოისმინეს: თელავის საკრებულოს წევრის ლევან ოთიურიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს.ტ.გალახვარიძე
12.45სთ-დან - 13.00სთ-მდე

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლ.ოთიურიძის მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე, 2019 წლის 22 აგვისტოდან საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი მიღებულ იქნეს ცნობად.

9.მოისმინეს: „სხვადასხვა“

1. ი.პარწიკანაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ აკურის სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია შეჩერებულია გაურკვეველი მიზეზების გამო, რაც მოსახლეობაში იწვევს უკმაყოფილებას, ამიტომ მერიამ დროულად უნდა მოახდინოს საჭირო ღონისძიებების გატარება.

2. სოფელ აკურის საბავშვო ბაღში აუცილებელია ჯგუფის დამატება, რისთვისაც საჭიროა ოთახის კაპიტალური შეკეთება და კარგი იქნება თუ მერია აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფს შესაბამის თანხებს.

3. ი.პარწიკანაშვილმა აგრეთვე ისაუბრა სოფელ ნასამხრალიდან სიჩქარის შემზღვუდველი ვიდეო კამარების არასწორად განლაგების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე